

## **ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 65)**

- სთხოვეთ ამომრჩეველს, წარმოადგინოს:
  - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
  - ✓ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის შემთხვევაში – დევნილის მოწმობა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ან საქართველოს მოქალაქის პასპორტთან ერთად.
- შეამოწმეთ, არის თუ არა ამომრჩეველი შეყვანილი ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში, და შეადარეთ ამომრჩევლის პირადი ნომერი ამომრჩეველთა სიაში არსებულ ნომერს.
- შეამოწმეთ წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში შეტანილი ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემებისა და ამომრჩეველთა სიაში არსებული მონაცემების შესაბამისობა.
- შეამოწმეთ წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში და ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათების და ამომრჩევლის სახის ერთმანეთთან შესაბამისობა.
- თუ ამომრჩეველი შეყვანილია ამომრჩეველთა სიაში, გაუკეთეთ ამომრჩეველს მარკირება მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელ თითზე.
- დაამოწმეთ საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები (უკანა გვერდზე, ამისთვის განკუთვნილ ადგილზე) რეგისტრატორის ბეჭდით.
- მოაწერეთ ხელი საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების უკანა გვერდზე.
- ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით დაადასტურეთ საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების გაცემა.
- სთხოვეთ ამომრჩეველს, ამომრჩეველთა სიაში თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების მიღება.
- გადაეცით ამომრჩეველს თქვენ მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დაამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.
- მიუთითეთ ამომრჩეველს, შევიდეს კენჭისყრის კაბინაში.

## **ყურადღება!**

- თუ ამომრჩეველი არ წარმოგიდგინებთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას, საქართველოს მოქალაქის პასპორტს, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის შემთხვევაში – დევნილის მოწმობას საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ან საქართველოს მოქალაქის პასპორტთან ერთად, მას არ უნდა გადასცეთ საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.
- თუ ამომრჩეველთა შესაბამის სიაში საქართველოს მოქალაქის პირად ნომერთან, სქესთან და ფოტოსურათთან ერთად, სრულად ემთხვევა სიაში არსებულ მონაცემთაგან (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი) სამი მაინც, ამომრჩეველი იღებს კენჭისყრაში მონაწილეობას.
- თუ ამომრჩევლის სახე და წარდგენილ დოკუმენტში ან ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათი ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნეოდა, აღნიშნული შეუსაბამობის დადასტურების თაობაზე მიმართეთ კომისიის თავმჯდომარეს და დაელოდეთ მის მითითებებს. თუ კომისიის თავმჯდომარე შეუსაბამობას არ დაადასტურებს, უფლება გაქვთ, ჩანაწერთა წიგნში მიუთითოთ თქვენი განსაკუთრებული აზრი, რასაც კომისიის მდივანთან ერთად ამონმებთ ხელმოწერით.
- თუ ამომრჩეველი უარს აცხადებს მარკირებაზე, მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება და არ უნდა გადასცეთ საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.
- თუ მარკირების გაკეთება ვერ ხერხდება ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელ თითზე, მარკირება კეთდება მარჯვენა ხელის სხვა თითის ფრჩხილზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას – ასეთივე წესით მარცხენა ხელზე.
- ამომრჩეველი, რომელიც ფიზიკური მდგომარეობის, კერძოდ, ზედა კიდურების არქონის გამო ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას, არ გადის მარკირების პროცედურას. ამომრჩევლისათვის საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების გაცემისას ამომრჩეველთა ერთიანი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“ უნდა გააკეთოთ ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა“ და დაადასტუროთ ხელმოწერით.
- თუ კენჭისყრის პროცესში გამოვლინდა, რომ ამომრჩეველმა საარჩევნო სიაში ხელი მოაწერა სხვა ამომრჩევლის გვარის გასწვრივ არსებულ გრაფაში, ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველს, რომლის გვარის გასწვრივ ფიქსირდება ხელმოწერა, უნდა მიუთითოთ ხელი მოაწეროს იმავე გრაფაში. ამასთან, აღნიშნულის თაობაზე უნდა დაწეროთ ახსნა-განმარტება (ამომრჩევლის სახელისა და გვარის აღნიშვნით).
- თუ თქვენ ან ამომრჩეველს გაგიფუჭდებათ საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები, ეს დაუყოვნებლივ აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს და ამომრჩეველს გადაეცით ახალი (თქვენ მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამონმებული) საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.

## **გაითვალისწინეთ!**

- ✓ რეკომენდებულია ამომრჩეველთა რეგისტრატორმა 10:00, 12:00, 15:00 და 17:00 საათებზე, კენჭისყრის პროცესისთვის ხელის შეუშლელად გადაითვალოს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების და მის მიერ გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობები (კომისიის თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის ჩათვლით) და მონაცემები აცნობოს კომისიის თავმჯდომარეს. თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, ამომრჩეველთა რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც დაერთდება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს/ოქმებს.
- ✓ ამომრჩეველთა რეგისტრატორის ფუნქციის გადაცემის შემთხვევაში რეგისტრატორი ვალდებულია გადაითვალოს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების და მის მიერ გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობები (კომისიის თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის ჩათვლით) და შედეგები აცნობოს კომისიის თავმჯდომარეს. თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, ამომრჩეველთა რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც დაერთდება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს/ოქმებს.